ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5519033

ნომერი: AR1838621

თარიღი : 17.07.2021

გაცემის თარიღი : 26.07.2021

გაცნობის თარიღი : 26.07.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტრო სადგურ "ისანთან" ყოფილი ავტოსალაროების მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ბუქური პ/ნ 01025003639
- ტ. თბილისი, ვაშლიჯვარის დასახლება კორპ. 11. ბ.6

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

წარმოადგენილი პანდუსის ესკიზი ნახაზები და ტექსტით მოცემული ინფორმაცია არ შეესაბამიება ერთმანეთს შესაბამისად ნახაზები და ფოტომონტაჟი მოიყვანეთ განმარტებით ბარათთან და მისაწვდომობის-ეროვნულ - სტანდარტებით დადგენილ რეგლამენტთან შესაბამისობაში.
ფოტომონტაჟზე ასევე დაიტანეთ ტროტუარის სიგანე და ტროტუარის კიდემდე დარჩენილი მანძილი.
ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობა და დანართი უნდა იყოს თქვენს მიერ ასათვისებელ ფართთან შესაბამისობაში მოყვანილი და აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენია განახლებული თანხმობა სათანადო დანართით.

ვინაიდან საპროექტო მონაკვეთში ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები მათშორის N01.01.834 მიწისქვეშა წყალმომარაგების ქსელი მესაკუთრე შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი/ N01.00.078 გარე განათების თვითმზიდი იზოლირებული სადენი მესაკუთრე ქ.თბილისის თვითმართველი ერთეული / N01.02.346 საკომუნიკაციო ნაგებობა შპს მაგთიკომი. ასევე ბუნებრივი აირით მომარაგების ქსელი და ინტერნეტის ქსელი შესაბამისად წარმოდგენილი იქნას მათი მესაკუთრეების მიერ გაცემული თანხმობები დაგეგმილ სამუშაოებზე დამოწმებული გენგეგმით.

ნომენკლატურაში რეკონსტრუქციის ნაცვლად დაფიქსირდეს ახალი მშენებლობა რისთვისაც ჩართულია ნომენკლატურის ცვლილების ღილაკი.

შესაბამისად თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.